აღნიშნული მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს განუსაზღვრელობის არსებობაზე ჯგუფის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით და რომ ჯგუფის საქმიანობა და ფინანსური ლიკვიდურობა დამოკიდებული იქნება მისი მფლობელებისა და დაკავშირებულ მხარეთა მხარდაჭერაზე. ჯგუფს აქვს მიღებული სესხი დაკავშირებული მხარისგან (შენიშვნა 10 და 19), რომლის ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 68,508 ათას ლარს (2019 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრისთვის 56,829 ათასი ლარი და 51,575 ათასი ლარი). ამ სესხის გადახდის გრაფიკი ხელშეკრულებაში გაწერილი არ არის და, შესაბამისად, დაკავშირებულ მხარეებთან შეთანხმების საფუძველზე ხდება გადახდა. ასევე კომპანიას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქვს მფლობელების მიმართ სახელფასო ვალდებულება 3,848 ათასი ლარის ოდენობით. სწორედ აღნიშნული ვალდებულებაა ძირითადი მიზეზი, რის გამოც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მიმდინარე ვალდებულებები აღემატება მიმდინარე აქტივებს.

დაკავშირებული მხარეებისგან მიღებულ უცხოურ ვალუტაში ნომინირებულ სესხთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი (2020 და 2019 წლებისთვის შეადგენს 3,304 ათას და 3,219 ათას ლარს) გადაფასება (2020 და 2019 წლებისთვის შეადგენს 8,304 ათას და 3,671 ათას ლარს) და დაკავშირებული მხარეებისთვის დარიცხული სახელფასო სარგებელი (2020 წლისათვის შეადგენს 702 ათას ლარს) იწვევს მნიშვნელოვანად კომპანიის ზარალს. რადგანაც ზემოთ ხსენებული სესხი დაკავშირებული მხარისგანაა, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ არსებობს რაიმე არსებითი განუსაზღვრელობა, რომელმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ უახლოეს მომავალში, მინიმუმ ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი კომპანიისთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე კომპანიისთვის.

ფინანსური აქტივი

პირველადი აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და ჯგუფის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად.

3. საადრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გამონაკლისია სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად ჯგუფი სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით.

სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად.

იმისათვის, რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან, თუ როგორ ახდენს ჯგუფი ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოღინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვალებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც ჯგუფი ვალდებულია იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები);
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (სასესხო ინსტრუმენტები);
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები);
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)

ჯგუფი აღირიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- ჯგუფი ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირ თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას. მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. ჯგუფის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

3. საადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშდება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც ჯგუფი ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოდიანებებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა.

იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა) სავაჭრო მოთხოვნებისთვის, გაცემული სესხებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ("ECL") გამოსათვლელად. შესაბამისად ჯგუფი არ აღევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს. სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. ჯგუფს შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

ვადაგადაცილების დღეები	მიმდინარე	31-60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	181-360 დღე
დარეზერვების პროცენტულობა	2%	10%	25%	50%	100%

ჯგუფის ძირითად ფინანსურ აქტივებსა და საკრედიტო რისკთან დაკავშირებით დეტალები მოცემულია 23-ე შენიშვნაში. სავაჭრო მოთხოვნების და გაუფასურების რეზერვის შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-10 შენიშვნაში.

3. საადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტები განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში.

ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს საბანკო ოპერდრაფტის ჩათვლით.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გაათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

თითოეულ საანგარიშო პერიოდში, ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები განიხილება, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურების დანაკარგი. თუ არსებობს მინიშნება შესაძლო გაუფასურებაზე, ნებისმიერი ასეთი აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივის ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდება და შედარდება მის საბალანსო მაჩვენებელთან, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, საბალანსო მაჩვენებელი შემცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების დანაკარგი აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

თუ გაუფასურების დანაკარგი არაფინანსური აქტივებისათვის მითითებულია, აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების კორექტირებულ შეფასებამდე, მაგრამ არა უმეტეს იმ თანხისა, რაც განსაზღვრული იქნებოდა აქტივისთვის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფისთვის), რომელსაც არ ჰქონდა გაუფასურების დანაკარგი წინა წლებში. ადრე აღიარებული გაუფასურების დანაკარგის აღდგენა აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

ინვესტიცია შვილობილ საწარმოში

შვილობილ საწარმოში ინვესტიციის აღიარება ხდება გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით, ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებაში. ჯგუფი აფასებს შვილობილ საწარმოში განხორციელებული ინვესტიციის ამოღებადობას მაშინ, როდესაც გაუფასურების ნიშნები არსებობს. გაუფასურების ნიშნები შესაძლებელია შემოსავლების ან ფულადი ნაკადების კლებას ან არსებით უარყოფით ცვლილებებს მოიცავდეს საქმიანობის ქვეყნის ეკონომიკურ ან პოლიტიკურ გარემოში, რაც შესაძლოა მიუთითებდეს, რომ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება

3. საადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ამოღებადი არ არის. იმ შემთხვევაში, თუ გარემოებები მიუთითებს, რომ შვილობილ კომპანიაში განხორციელებული ინვესტიცია შესაძლებელია გაუფასურდეს, შესაბამის ინვესტიციასთან დაკავშირებული მოსალოდნელი სამომავლო არადისკონტირებული ფულადი ნაკადები შედარდება მათ საბალანსო ღირებულებასთან, რათა დადგინდეს საჭიროა თუ არა მათი ჩამოფასება აღდგენით ღირებულებამდე.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. გადახდილი ავანსები კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული გადახდილი ავანსები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული გადახდილი ავანსები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც ჯგუფი მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული გადახდილი ავანსების ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთით და გაუფასურებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის ნაწილში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და შედის სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი კაპიტალიზაციას არ ექვემდებარება.

მცირე შეკეთება განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების ან არამატერიალური აქტივების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ან არამატერიალური აქტივების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ან არამატერიალური აქტივების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

3. საადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების ცვეთა

მიწა არ იცვითება. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში.

აქტივების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების	
	ვადა წლებში	
შენობა-ნაგებობები	5-20	
მანქანა-დანადგარები	5-12	
კომპიუტერები და საოფისე ინვენტარი	5	
სატრანსპორტო საშუალებები	5-12	
სხვა ძირითადი საშუალებები	5-20	
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5	
დაუმთავრებელი მშენებლობის მოწყობა	არ იცვითება	

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდოდ ღირებულება, რასაც ჯგუფი მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია

არამატერიალური აქტივები მოიცავს ლიცენზიებს. არამატერიალური აქტივები, რომელიც შეძენილია ჯგუფის მიერ და რომელთაც აქვს განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადები, ნაჩვენებია საბალანსო ღირებულებით, დაგროვილი საამორტიზაციო ხარჯისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ამორტიზაცია ნაწილ არამატერიალურ აქტივებზე გამოითვლება წარმოებული ერთეულის მეთოდით. ჯგუფი ფლობს ლიცენზიებს, რომლის ამორტიზაციის განაკვეთი განისაზღვრება მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის რაოდენობის მიხედვით. დანარჩენ არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში 15%-ით. განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივები არ ამორტიზდება.

იჯარა

ჯგუფი, როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას რომელიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ, ჯგუფმა უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

იჯარა განიმარტება, როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

ამ განმარტების გამოსაყენებლად ჯგუფმა უნდა შეაფასოს:

ა) კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის.

ბ) ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან არსებითი სარგებლის მიღების უფლება. აქტივის გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის უმეტესი წილის მიღების უფლების არსებობის შეფასებისას, საწარმომ ეკონომიკური სარგებლის ის სახეები უნდა განიხილოს, რომლებიც აქტივის გამოყენებით მიიღება აქტივის გამოყენებაზე მომხმარებლის უფლებებისთვის დადგენილ გარკვეულ საზღვრებში. ჯგუფი განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების

3. საადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

თვითღირებულება უნდა მოიცავდეს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ აღნიშნული განაკვეთით არ არის ხელმისაწვდომი, მოიჯარემ უნდა გამოიყენოს ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: ზრდის ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით; ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვით; და თავიდან აფასებს საბალანსო ღირებულებას საიჯარო გადახდების ცვლილებების შემთხვევაში.

მოიჯარის მიერ საიჯარო ვალდებულების თავიდან შეფასებისას კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აქტივის გამოყენების უფლება ნულის ტოლია, მოიჯარემ მოგება/ზარალში უნდა აღიაროს ნებისმიერი მოდიფიკაცია.

ჯგუფმა გადაწყვიტა გამოიყენოს განთავისუფლების უფლება და მოკლევადიან იჯარასთან, ან დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღიაროს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აქტივის გამოყენების უფლება შესაძლოა აღირიცხოს ძირითად საშუალებებში ან განცალკევებულად, ხოლო საიჯარო ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ან განცალკევებულად.

მოგების გადასახადი

გადასახადები წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველზე დაბალი ღირებულებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს,

3. საადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის არსებული სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

სააქციო კაპიტალი

ინვესტიცია სააქციო კაპიტალში აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება სააქციო კაპიტალად საკუთარ კაპიტალში. დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად, როდესაც ხდება მათი დეკლარირება. დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად მათი გამოსცხადების მომენტში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი განისაზღვრება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებულ მისაღები ანაზღაურების მიხედვით და არ მოიცავს მესამე პირების სახელით მისაღებ თანხებს. ჯგუფი შემოსავალს აღიარებს მაშინ, როდესაც საქონლის ან მომსახურების კონტროლი მომხმარებელს გადაეცემა იმ ანაზღაურების შესაბამისი ოდენობით, რომელსაც ჯგუფი ელოდება ამ საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ.

მრავალეფემენტაანი შეთანხმებების შემთხვევაში ჯგუფი ინდივიდუალურ მომსახურებებს ცალ-ცალკე აღრიცხავს, თუ ისინი განსხვავებულია (გამიჯვნადია). მთლიანი ანაზღაურება გადანაწილდება ცალკეულ მომსახურებებს შორის ამ მომსახურებების ინდივიდუალური სარეალიზაციო ფასის შესაბამისად. ინდივიდუალური სარეალიზაციო ფასი განისაზღვრება ფასთა ნუსხის საფუძველზე.

როგორც ეს ზემოთ შენიშვნაშია აღნიშნული, ჯგუფმა მიიღო ფასს 15 შემოსავლის აღიარების მიზნებისთვის. ყოველ ხელშეკრულებაზე ჯგუფი ახორციელებს შემდეგ ნაბიჯებს: ახდენს კონტრაქტის არსებობის იდენტიფიცირებას; განსაზღვრავს შესრულების ვალდებულებას; განსაზღვრავს ტრანზაქციის ფასს; ანაწილებს ტრანზაქციის ფასს თითოეული შესრულების ვალდებულებაზე და აღიარებს შემოსავალს მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა შესრულების ვალდებულება შესრულდება დაპირებული საქონლის ან მომსახურების მიწოდებით.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ჯგუფი დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გაწევენ შესაბამის მომსახურებას:

- ▶ ხელფასები;
- ▶ წლიური ფასიანი შვებულებები და ბიულეტენის ანაზღაურება;
- ▶ არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. ჯგუფს არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კონტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს გარკვეულმა მოვლენებმა, რომლებიც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ ხდება. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძველში, საზოგადოდ, განსაზღვრულია ორი ტიპის მოვლენა:

3. საადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ა) მაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) არსებულ პირობებზე; და

ბ) არამაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) შემდგომ პერიოდში.

4. მნიშვნელოვანი საადრიცხო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებები და დაშვებები გადაიხედება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებისა თუ პირობის მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ჯგუფის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისთვის.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი: ჯგუფი რეგულარულად ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების შეფასების გადახედვას. ახალი ფასს 9-ის მიხედვით, გაუფასურების მოდელი მოითხოვს გაუფასურების რეზერვს ყველა რისკზე ფინანსური ინსტრუმენტის წარმოქმნის მომენტიდან მისი თავდაპირველი აღიარების მომენტამდე მისი საკრედიტო რისკის გაუარესების მიხედვით. თუ არ მომხდარა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, ფასს 9 მოითხოვს რეზერვს მომდევნო 12 თვის მანძილზე მოსალოდნელ დანაკარგებზე დაყრდნობით. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან/და თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის „გაუფასურებული“, სტანდარტი მოითხოვს რეზერვის შექმნას მისი სასიცოცხლო ვადის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მიხედვით. იმის შეფასება, განიცადა თუ არა ფინანსურმა ინსტრუმენტმა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, განსხვავდება პროდუქტის და რისკის სეგმენტის მიხედვით.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა: ჯგუფი აფასებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობას სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული დაძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ მონაცემებზე.

სასაქონლო მატერიალური მარაგების გაუფასურება: სასაქონლო მატერიალური მარაგები შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით, ჯგუფი იყენებს შეფასებებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულების დასადგენად ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს. მარაგების ვარგისიანობის ვადის გათვალისწინებით, კომპანია აფასებს დაძველებული და რთულად რეალიზებადი ერთეულების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას საანგარიშო პერიოდის ბოლოს და შემდგომ ნაწილობრივ ჩამოწერს მარაგების თვითღირებულებას წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე. მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ძირითადად ეფუძნება დაშვებას მომავალ მოთხოვნაზე დროის განსაზღვრულ პერიოდში.

5. წინა პერიოდის კლასიფიკაციის ცვლილება და შეცდომების გასწორება

ჯგუფმა ფინანსური ანგარიშგების უკეთ წარდგენის მიზნით, მოახდინა ცალკეულ ელემენტებში კლასიფიკაციის ცვლილება. აღნიშნული რეკლასიფიკაციები არ წარმოადგენს შეცდომის გასწორებას. რეკლასიფიკაციებმა შემდეგი გავლენა იქონია კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრისა 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაზე:

რეკლასიფიკაციის ეფექტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე:

1 იანვარი 2019	წინა ანგარიშის მიხედვით	რეკლასიფიკაცია	კორექტირებული თანხები
ძირითადი საშუალებები	29,293	(12)	29,281
არამატერიალური აქტივები	600	12	612
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	127	(80)	47
გადახდილი ავანსი	891	80	971
გრძელვადიანი სესხები	25,973	29,342	55,315
მოკლევადიანი სესხები	30,557	(28,910)	1,647
ვალდებულებები			
მომსახურებიდან და მოწოდებიდან	5,470	(262)	5,208
საიჯარო ვალდებულება	618	(432)	186
მიღებული ავანსები	132	262	394

31 დეკემბერი 2019	წინა ანგარიშის მიხედვით	რეკლასიფიკაცია	კორექტირებული თანხები
ძირითადი საშუალებები	30,892	(12)	30,880
არამატერიალური აქტივები	505	12	517
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	720	(159)	561
გადახდილი ავანსი	601	159	760
გრძელვადიანი სესხები	27,760	35,612	63,372
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	209	(121)	88
მოკლევადიანი სესხები	32,489	(35,491)	(3,002)
ვალდებულებები			
მომსახურებიდან და მოწოდებიდან	5,722	(262)	5,460
მიღებული ავანსები	280	262	542

რეკლასიფიკაციის ეფექტი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე:

2019	წინა ანგარიშის მიხედვით	რეკლასიფიკაცია	კორექტირებული თანხები
რელიზაციის თვითღირებულება	(36,996)	129	(36,867)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(5,783)	878	(4,905)
სადისტრიბუციო ხარჯები	(3,265)	(1,659)	(4,924)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	(1,620)	1,620	-
სხვა საოპერაციო ხარჯი	1,686	(1,686)	-
სხვა არასაოპერაციო (ხარჯი)/ შემოსავალი	(5)	718	713

რეკლასიფიკაციის ეფექტი ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე:

2019	წინა ანგარიშის მიხედვით	რეკლასიფიკაცია	კორექტირებული თანხები
საოპერაციო საქმიანობა	(1,379)	418	(961)
ფინანსური საქმიანობა	1,160	(418)	742

5. წინა პერიოდის პერიოდის რეკლასიფიკაცია და შეცდომების გასწორება (გაგრძელება)

ჯგუფმა გამოავლინა სააღრიცხვო შეცდომები წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში და მოახდინა მათი გასწორება მიმდინარე პერიოდში. შეცდომების გასწორებამ შემდეგი გავლენა იქონია კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და 2019 წლის მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების ანგარიშგებაზე:

ცვლილების ეფექტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე:

1 იანვარი 2019	წინა ანგარიშის მიხედვით	კორექტირება	კორექტირებული თანხები
ძირითადი საშუალებები	29,281	(2,158)	27,123
მოკლევადიანი სესხები	1,647	(579)	1,068
სააქციო კაპიტალი	28,685	(222)	28,463
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	47	1,510	1,557
დაგროვებული ზარალი	(64,255)	(4,323)	(68,578)

31 დეკემბერი 2019	წინა ანგარიშის მიხედვით	კორექტირება	კორექტირებული თანხები
ძირითადი საშუალებები	30,880	(1,713)	29,167
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	561	3,043	3,604
გრძელვადიანი სესხები	63,372	4,547	67,919
მოკლევადიანი სესხები	(3,002)	3,152	150
ვალდებულებები მომსახურებიდან და მოწოდებიდან	5,460	785	6,245
სააქციო კაპიტალი	28,601	588	29,189
დაგროვებული ზარალი	(68,391)	(7,326)	(75,717)
არამაკონტროლებელი წილი	7,955	(416)	7,539

ცვლილების ეფექტი მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაზე:

2019	წინა ანგარიშის მიხედვით	კორექტირება	კორექტირებული თანხები
ფინანსური ხარჯები	(3,847)	(70)	(3,917)
კურსთაშორის სხვაობის წმინდა ეფექტი	703	(4,517)	(3,814)
სხვა არასაოპერაციო (ხარჯი)/ შემოსავალი	713	409	1,122

სს“კავკაზ ცემენტი”

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ათას ქართულ ლარში)

6. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა	კომპიუტერები და საოფისე ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	აქტივის გამოყენების უფლება	სხვა	სულ
ღირებულება/ დასაშვები საწყისი										
2019 წლის 1 იანვარი	11,751	3,964	7,418	7,995	1,088	196	25	115	94	32,646
შემოსვლა	223	856	3,614	577	3,456	15	-	325	80	9,146
გასვლა	-	(5)	(84)	(603)	(4,291)	(34)	-	-	(6)	(5,023)
2019 წლის 31 დეკემბერი	11,974	4,815	10,948	7,969	253	177	25	440	168	36,769
შემოსვლა	29	30	223	200	343	14	-	175	27	1,041
ტრანსფერი	-	-	117	280	(117)	-	-	(280)	-	-
გასვლა	(14)	-	(898)	(109)	(18)	-	-	-	(57)	(1,096)
2020 წლის 31 დეკემბერი	11,989	4,845	10,390	8,340	461	191	25	335	138	36,714
დაგროვებული ცვეთა										
2019 წლის 1 იანვარი	-	(618)	(2,362)	(2,345)	-	(137)	(2)	(22)	(37)	(5,523)
დარიცხული ცვეთა	-	(237)	(922)	(1,084)	-	(20)	-	(38)	(16)	(2,317)
გასვლა	-	-	62	110	-	66	-	-	-	238
2019 წლის 31 დეკემბერი	-	(855)	(3,222)	(3,319)	-	(91)	(2)	(60)	(53)	(7,602)
დარიცხული ცვეთა	-	(262)	(1,111)	(1,249)	-	(22)	(5)	(63)	(22)	(2,734)
ტრანსფერი	-	-	-	(60)	-	-	-	60	-	-
გასვლა	-	-	387	24	-	-	-	-	-	411
2020 წლის 31 დეკემბერი	-	(1,117)	(3,946)	(4,604)	-	(113)	(7)	(63)	(75)	(9,926)
საბალანსო ღირებულება										
2019 წლის 1 იანვარი	11,751	3,346	5,056	5,650	1,088	59	23	93	57	27,123
2019 წლის 31 დეკემბერი	11,974	3,960	7,726	4,650	253	86	23	380	115	29,167
2020 წლის 31 დეკემბერი	11,989	3,728	6,444	3,736	461	78	18	272	63	26,789

6. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ჯგუფის სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 1,130 და 497 ათასი ლარი (2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით – 469 ათასი ლარი). ჯგუფის მანქანა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები დატვირთულია იპოთეკით.

7. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

ჯგუფს გააჩნია შემდეგი სასაქონლო მატერიალური ფასეულობები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
ნედლეული და მასალები	2,306	1,977	1,957
მზა პროდუქცია	1,158	977	1,415
საწვავი და საპოხი მასალები	57	31	25
დაუსრულებელი წარმოება	1	1	2
სხვა მარაგები	455	166	11
მარაგების რეზერვი	(1,574)	(1,023)	(459)
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	2,403	2,129	2,951

